საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.05.2019

საჩივრის რეგისტრაციის №062/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ.ჟ-ს მიმართ, /სიითი № 5196/ სპეციალიზაცია - საერთო.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ.ჟ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 17 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ.ჟ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და მის ყოფილ მეუღლეს - რ. ჯ.-ს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა საოჯახო დავა, მათ შორის საკითხი ეხებოდა მათ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრას. 2019 წლის 01 მარტს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე რ. ჯ.-მა განაცხადა, რომ მან მიმართა თბილისის ძალადობის მომსახურების კრიზისულ ცენტრს (შემდგომში -„კრიზისული ცენტრი“) და

არასრულწლოვან შვილთან ერთად, როგორც ბენეფიციარი იღებდა ფსიქოლოგიურ მომსახურებას, რის საფუძველზეც სასამართლომ ს. მ.-ს დაავალა თავადაც მიემართა ამავე კრიზისული ცენტრისთვის და ჩართულიყო ოჯახურ თერაპიაში. აღნიშნულ ეტაპზე, ს. მ.-ის ყოფილ მეუღლეს წარმოადგენდა ადვოკატი თ. ჯ..

1.3 2019 წლის მარტის დასაწყისში, ს. მ.-მ მიმართა კრიზისულ ცენტრს, სადაც ის პირველად შეხვდა ორგანიზაციის იურისტს მ.ჟ-ს და განუცხადა, რომ სასამართლოს დავალებით უნდა მიეღო მათგან კონსულტაცია. კრიზისული ცენტრის წარმომადგენელმა, ს. მ. ცენტრის მომმართველთა ჟურნალში დაარეგისტრირა. ს. მ.-მ აღნიშნულ ეტაპზე იცოდა, რომ მ.ჟ იყო იურისტი, თუმცა მისი, როგორც ადვოკატის სტატუსის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია. რამოდენიმე დღის შემდეგ, ს. მ. კვლავ ესტუმრა კრიზისულ ცენტრს ფსიქოლოგისგან კონსულტაციის მიღების მიზნით. მისივე ინფორმაციით, თუ საჭირო გახდებოდა ს. მ.ს ცენტრისგან სამართლებრივი დახმარებაც უნდა მიეღო. აღნიშნულ დღეს საჩივრის ავტორი შეხვდა კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელს - ი. რ.სა და ადვოკატ მ.ჟს. შეხვედრას მოგვიანებით ს. მ.-ის ადვოკატი ნ. ო. შეუერთდა, რომლის დასწრების მიზანი იყო ს. მ.-ისათვის კონსულტაციის გაწევა საჭიროებისამებრ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან აღნიშნულ შეხვედრაზე, ადვოკატ მ.ჟს თანდასწრებით ისაუბრა საოჯახო დავასთან დაკავშირებით. კერძოდ, გაუმხილა მისი დაცვის სტრატეგია, რომელიც მოიცავდა ბავშვისათვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნას, ბავშვის ემოციური მდგომარეობის შეფასებას და შემდგომ მამა-შვილს შორის ურთიერთობის აღდგენაზე ზრუნვას. საჩივრის ავტორმა ამავე შეხვედრაზე გააჟღერა ინფორმაცია, რომ მისი შვილის მიმართ მეორე მშობლის მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე ჰქონდა ინფორმაცია და აპირებდა სასამართლო დავის მოგებას.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვინაიდან, სასამართლოს დავალება იყო, მას ხანგრძლივი გასაუბრება ჰქონდა ასევე კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგთან, რომელსაც საოჯახო დავის შესახებ ყველაფერი მოუყვა, მათ შორის ესაუბრა შვილთან ურთიერთობის დეტალებზე. ს. მ.-ის განცხადებით, მან მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ ცენტრის ფსიქოლოგი მისი ყოფილი მეუღლის ოჯახის ახლობელი იყო. ამასთან, კრიზისულ ცენტრში ფსიქოლოგისათვის განდობილი ინფორმაცია შესაძლოა ადვოკატ მ.ჟსთვისაც ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

1.6 ადვოკატი მ.ჟ, ს. მ.-სთან გასაუბრების შემდგომ, სასამართლო დავაში ჩაერთო, როგორც საჩივრის ავტორის ყოფილი მეუღლის - რ. ჯ.-ს წარმომადგენელი. 2019 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოპასუხე მხარის - ს. მ.-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადვოკატ მ.ჟ.-ს, როგორც მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის აცილება უნდა მომხდარიყო, ინტერესთა კონფლიქტის გამო, თუმცა ადვოკატს არ შეუწყვიტავს რ. ჯ.-ს წარმომადგენლობა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ.ჟ.-ს წინსწრებით მაინც უნდა გაეფრთხილებინა, რომ მის წინააღმდეგ აპირებდა საოჯახო დავაში ჩართვას. ამის შემდეგ მიიღებდა

გადაწყვეტილებას საჩივრის ავტორი, გაემხილა თუ არა მისი ინფორმაცია მისი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისათვის.

1.8 საჩივრის ავტორმა კონკრეტულად არ იცის, ადვოკატმა მ.ჟმ მისგან მიღებული რა სახის ინფორმაცია გამოიყენა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუმცა ადვოკატის საქმეში ჩართვის შემდგომ, მას შეეზღუდა შვილთან ურთიერთობა.

2 საჩივრის ავტორის მოწმე ნ. ო.ს განმარტება

2.1 ნ. ო.ს განმარტებით, ის როგორც ადვოკატი წარმოადგენდა სერგო მასიურაძის ინტერესებს საოჯახო დავაში. მოწმის განმარტებით, თავდაპირველად, ს. მ.-ის ყოფილ მეუღლეს სხვა ადვოკატი - თ. ჯ. წარმოადგენდა სასამართლოში.

2.2 მოწმის განცხადებით, სასამართლოში საოჯახო დავა ს. მ.-სა და მის ყოფილ მეუღლეს შორის სხვადასხვა საკითხებზე მიმდინარეობდა. მათ შორის, ს. მ.-ის ყოფილმა მეუღლემ სასამართლოს მიმართა შვილის მამასთან ურთიერთობის წესის შეცვლის და შვილზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხზე; ალიმენტის დაკისრების თაობაზე; აგრეთვე, მას პრეტენზია ჰქონდა იმის თაობაზე, რომ თითქოს ს. მ. მასზე ძალადობდა.

2.3 მოწმის განცხადებით, იმ ეტაპზე, როდესაც მხარეთა შორის ალიმენტის დაკისრების საკითხი განიხილებოდა, ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, მოსამართლის რჩევა იყო, რომ საოჯახო დავაში ფსიქოლოგი ჩართულიყო. სასამართლო სხდომაზე რ. ჯ.-მა განმარტა, რომ მას უკვე შვილი დაჰყავდა ერთ-ერთ ცენტრში ფსიქოლოგთან, რის შემდგომაც მოსამართლემ ს. მ.საც დაავალა, რომ აღნიშნული ცენტრისთვის მიემართა და ჩართულიყო ოჯახურ თერაპიაში.

2.4 მოწმის განმარტებით, 2019 წლის მარტის თვეში, სასამართლოს მითითების შესაბამისად, ს. მ.-მ მიმართა კრიზისულ ცენტრს. რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, ნ. ო., ს. მ.-ის თხოვნით კრიზისულ ცენტრში დაესწრო შეხვედრას, რომელსაც მასთან ერთად ესწრებოდნენ სერგო მასიურაძე, ცენტრის ხელმძღვანელი - ი. რ. და ადვოკატი მ.ჟ. ი. რ.მ და მ.ჟმ მათ თავი გააცნეს, როგორც ცენტრის იურისტებმა.

2.5 მოწმის განცხადებით, აღნიშნულ შეხვედრაზე ი. რ.მ ჰკითხა ს. მ.-ს, თუ რის საფუძველზე დაევალა ცენტრისთვის მიემართა, რაზედაც ს. მ.-მ განაცხადა, რომ მან სასამართლოს დავალებით მიმართა კრიზისულ ცენტრს. ს. მ.-მ განმარტა, რომ ცენტრს წარუდგენდა სასამართლოს სხდომის ოქმის ჩანაწერს, რითიც დასტურდებოდა მიმართვის საფუძველი.

2.6 მოწმის განცხადებით, ი. რ.მ განუმარტა ს. მ.-ს, რომ მასზე ვერ გასცემდა რ. ჯ.-ს მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მიღების თაობაზე ინფორმაციას. აღნიშნულ შეხვედრაზე, ს. მ.-მ ადვოკატ მ.ჟ.-ს თანდასწრებით საოჯახო კონფლიქტის დეტალებზე ისაუბრა, მათ შორის იმის თაობაზე, რომ ყოფილი მეუღლე უზღუდავდა ბავშვთან ურთიერთობას და ედავებოდა, რომ ის თითქოს მოძალადე იყო. მოცემულ შეხვედრაზე, ს. მ.-მ ადვოკატ მარიკა ჟორდანაის თანდასწრებით ასევე ისაუბრა, იმის თაობაზე, რომ მისი

ყოფილი მეუღლე ბავშვთან ცუდად მოიხსენიებდა მას, რისი დამადასტურებელი ჩანაწერებიც ს. მ.-ს გააჩნდა.

2.7 მოწმის განმარტებით, ზემოაღნიშნული შეხვედრა დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა, რის შემდგომაც ი. რ.მ ადვოკატ მ.ჟს სთხოვა, რომ ს. მ.-ს დახმარებოდა კრიზისული ცენტრის მიმართ განცხადების დაწერაში, იმისათვის რომ ცენტრის ბენეფიციარი გამხდარიყო და მიეღო კონსულტაცია. ს. მ.-მ ადვოკატ მ.ჟ.-ს დახმარებით დაწერა ცენტრის მიმართ განცხადება მომსახურების მიღებაზე, სადაც მიუთითა, რომ სასამართლოში ჰქონდა დავა მის ყოფილ მეუღლესთან - რ. ჯ.-თან. განცხადების დაწერის შემდეგ მოწმემ, ს. მ.-სთან ერთად დატოვა კრიზისული ცენტრი.

2.8 2019 წლის 24 აპრილს სერგო მსაისურაძის საოჯახო დავასთან დაკავშირებით გამართულ მორიგ სასამართლო სხდომაზე ს. მ.-ის ყოფილი მეუღლის ინტერესების დამცველად გამოცხადდა ცენტრის ადვოკატი - მ.ჟ. მანამდე, რ. ჯ.-ს ინტერესებს სხვა ადვოკატი - თ. ჯ. წარმოადგენდა. მოწმის განმარტებით, მან სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ს. მ. კრიზისულ ცენტრში შეხვდა ადვოკატ მ.ჟს, რომელსაც დავასთან დაკავშირებით მისგან ჰქონდა ინფორმაცია და ეს ადვოკატის საქმეზეც აცილების საფუძველი იყო, რაზეც მოსამართლემ განაცხადა, რომ სასამართლოს ადვოკატის აცილების საკითხზე მსჯელობის უფლება არ აქვს. სასამართლო სხდომაზე, ადვოკატი მ.ჟ მისი აცილების საკითხის განხილვაზე „აღშფოთდა“ და გაკვირვებით განაცხადა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საერთოდ ეს საკითხი განხილული.

2.9 მოწმის განცხადებით, მან ს. მ.-ის თანხმობით, ადვოკატ მ.ჟს დაურეკა და ჰკითხა ისევ აპირებდა თუ არა ს. მ.-ის ყოფილი მეუღლის ინტერესების დაცვის გაგრძელებას, რაც მ.ჟ-მ დაუდასტურა. აღნიშნული საუბრის შემდგომ, ალიმენტის საკითხზე სასამართლოში რ. ჯ.-ს ინტერესებს კვლავ ადვოკატი მ.ჟ წარმოადგენდა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატის განმარტებით, ის არის თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის ერთადერთი იურისტი. ცენტრის შინაგანაწესის შესაბამისად, ადვოკატ მ.ჟს ევალება ცენტრის ბენეფიციარების წარმომადგენლობა/ადვოკატირება სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში და განმცხადებლის/მომმართველის - სამართლებრივი კონსულტაცია ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

3.2 კრიზისული ცენტრის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა, დამოკიდებულ/არასრულწლოვან პირებთან ერთად კანონიერი ინტერესების დაცვა, დახმარება, ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია და სხვა მომსახურებებში ჩართვა.

3.3 კრიზისულ ცენტრს ს. მ.-ის ყოფილმა მეუღლემ - რ. ჯ.-მა 2019 წლის იანვრის თვეში მიმართა, რომელსაც გარდა საოჯახო თერაპიაში ჩართვისა, იურიდიული მომსახურების მიღება სურდა საოჯახო დავასთან დაკავშირებით და ვინაიდან, მას მსხვერპლის სტატუსი ჰქონდა, ცენტრი

ვალდებული იყო გაეწია იურიდიული დახმარება. შესაბამისად, ადვოკატმა მ.ჟმ რ. ჯ.-ს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, შეუდგინა განცხადება დამცავი ორდერის მიღების თაობაზე, თუმცა სასამართლოში იმ ეტაპზე მის ინტერესებს არ წარმოადგენდა, რადგან მინდობილობა არ იყო გაფორმებული.

3.4 2019 წლის მარტის თვეში ს. მ.მ მიმართა კრიზისულ ცენტრს, სადაც მას დახვდა ადვოკატი მ.ჟ და ის დაარეგისტრირა მომმართველთა ჟურნალში. მომმართველთა ჟურნალში მიეთითა ს. მ.-ის სახელი, გვარი და ცენტრში მისვლის მიზეზი, რაც მან ხელმოწერით დაადასტურა. ჟურნალში ასახული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

3.5 ადვოკატ მ.ჟ.-ს ს. მ.-მ განუცხადა, რომ 2019 წლის 01 მარტს სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ დაევალა კრიზისულ ცენტრში ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება და ყოფილ მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილთან ერთად ოჯახურ თერაპიაში ჩართვა.

3.6 ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულ ეტაპზე მას არ განუმარტავს ს. მ.-ისთვის, რომ მის ყოფილ მეუღლესაც - რ. ჯ.-საც ჰქონდა მიმართული კრიზისული ცენტრისთვის და იღებდა მომსახურებას. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულ ეტაპზე მართალია ს. მ.-ის ვინაობა ცნობილი იყო, თუმცა არ იცოდა, რომ ერთი და იმავე საქმესთან დაკავშირებით მიმართეს კრიზისულ ცენტრს, როგორც ს. მ.-მ, აგრეთვე მისმა ყოფილმა მეუღლემ.

3.7 ზემოაღნიშნული შეხვედრის შემდეგ, რამდენიმე დღეში ს. მ.-მ კრიზისულ ცენტრს წარუდგინა სასამართლოს სხდომის ოქმი, რაც წარმოადგენდა ოჯახურ თერაპიაში ჩართვისა და ფსიქოლოგის კონსუტლაციის მიღების საფუძველს. აღნიშნულ დღეს ს. მ. შეხვდა კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელს - ი. რ.ს, ადვოკატ მ.ჟს და მოგვიანებით, შეხვედრას შემოუერთდა ს. მ.-ის ადვოკატი - ნ. ო.. შეხვედრაზე ს. მ.-მ განმარტა, რომ „შვილთან პრობლემების მოგვარება სურდა“, სჭირდებოდა საოჯახო თერაპიაში ჩართვა და ვინაიდან, სასამართლოს მითითება არსებობდა, მას სჭირდებოდა ფსიქოლოგიური მომსახურება.

3.8 ადვოკატის განცხადებით, მას ს. მ.სთან შეხვედრის დროს არ ჰქონდა ინფორმაცია მასსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის არსებულ სამოქალაქო დავის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისივე განმარტებით, ადვოკატი მ.ჟ.-ს. მ.ს.-თან შეხვედრას არ დაესწრებოდა.

3.9 ადვოკატის განცხადებით, მის მიერ სასამართლოში რ. ჯ.-ს წარმომადგენლობის განხორციელებამდე, ს. მ.-მ და მისმა ყოფილმა მეუღლემ შვილთან ერთად რამდენჯერმე მიიღეს კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგიური მომსახურება და ერთობლივად იყვნენ ჩართულნი საოჯახო თერაპიაში.

3.10 ადვოკატის განმარტებით, ს. მ.-ს მისი თანდასწრებით არ უსაუბრია იმის თაობაზე ჰქონდა თუ არა რაიმე კონკრეტული გეგმა საოჯახო დავასთან დაკავშირებით რ. ჯ.-ს წინააღმდეგ.

3.11 ადვოკატის განცხადებით, ს. მ. არ იყო ცენტრის ბენეფიციარი, თუმცა სასამართლოს მითითების შესაბამისად, მას უნდა მიეღო ცენტრისგან ფსიქოლოგიური მომსახურება. შესაბამისად, 2019 წლის 05 მარტიდან 2019 წლის 13 მარტამდე ს. მ.-ს კრიზისულმა ცენტრმა გაუწია ფსიქოლოგიური მომსახურება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ის ჩაერთო

საოჯახო თერაპიაში. ამასთანავე, 2019 წლის 13 მარტიდან ს. მ.-ს შეეძლო კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგის სატელეფონო კონსულტაციის მიღებაც.

3.12 ადვოკატის განმარტებით, ის რ. ჯ.-ს ინტერესებს 2019 წლის 24 აპრილს სასამართლო სხდომაზე ალიმენტის საქმესთან დაკავშირებით წარმოადგენდა.

3.13 ადვოკატის განცხადებით, ის არ ეთანხმება იმ გარემოებას, რომ მისი საქმეში ჩართულობამ მამა-შვილს შორის ურთიერთობას ხელი შეუშალა, რადგან კრიზისული ცენტრის მიერ არასრულწლოვანი შვილისთვის და მშობლებისთვის ფსიქოლოგიური სერვისის მიწოდების შემდგომ, რ. ჯ.-მა გაიხმო სარჩელი მშობლის უფლების შეზღუდვისა და ბავშვის ნახვის დღეების ნაწილში. შედეგად, ს. მ.-ს შესაძლებლობა მიეცა შვილთან ურთიერთობა თავისუფლად ჰქონოდა.

3.14 ადოკატის განმარტებით, სადავო საკითხს წარმოადგენდა ალიმენტის გადახდაც, თუმცა წინააღმდეგობის მიუხედავად, საბოლოოდ, ს. მ. დათანხმდა მორიგების აქტის გაფორმებას, რის მიხედვითაც მან შვილის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ალიმენტი 200 ლარის ოდენობით.

3.15 კრიზისული ცენტრის უშუალო ჩართულობით, რ. ჯ.-მა საქმეზე გამოითხოვა ადმინისტრაციული საჩივარი დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე (სადაც სავარაუდო მოძალადედ მითითებული იყო ს. მ.). ამასთან, მისი მიმართვის საფუძველზე, შეწყდა ს. მ.-ის, როგორც მამის მხრიდან განხორციელებული შესაძლო ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

3.16 ადვოკატი ალიმენტის პროცესის დასრულების შემდგომ აღარ წარმოადგენდა რ. ჯ.-ს ინტერესებს. ადვოკატის განცხადებით, ინტერესთა კონფლიქტს ს. მ.-ის ყოფილი მეუღლისთვის იურიდიული მომსახურების გაწევისას ადგილი არ ჰქონია. მისივე განმარტებით, კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, კრიზისული ცენტრი სხვა ადვოკატს მოიწვევდა და ჩართავდა საქმეში.

4. ადვოკატის მოწმე ი. რ.-ის განმარტება

4.1 ი. რ.-ის განმარტებით, ის არის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი, ხოლო ადვოკატი მ.ჟ. წარმოადგენს ცენტრის ერთადერთ იურისტს.

4.2 მოწმის განცხადებით, კრიზისული ცენტრისთვის მომართვისას ადვოკატი მ.ჟ. შემოუძღვა ს. მ.-ს მის კაბინეტში და მოგვიანებით შეხვედრას შეუერთდა ს. მ.-ის ადვოკატი ნ. ო.. ი. რ.მ ს. მ.-ს განუმარტა თუ რა შემთხვევაში ხდება პირი მათი ბენეფიციარი. ს. მ. აცხადებდა, რომ მან მოსამართლის დავალებით მიმართა კრიზისულ ცენტრს, იმისათვის რომ მიეღო ფსიქოლოგიური მომსახურება. შესაბამისად, მას მოეთხოვა კონკრეტული დოკუმენტი, რითიც აღნიშნული დადასტურდებოდა.

4.3 მოწმის განცხადებით, მართალია ს. მ. არ იყო კრიზისული ცენტრის ბენეფიციარი, მაგრამ სასამართლოს დავალებით მათი ვალდებულება იყო ს. მ.-ს მიეღო ფსიქოლოგის კონსულტაცია.

4.4 ი. რ.-ის განმარტებით, ადვოკატ მ.ჟ.-ს რაიმე სახის კონსულტაცია ს. მ.-ისათვის არ გაუწევია.

4.5 ეთიკის კომისიის შეკითხვაზე, ი. რ.მ დამატებით განმარტა, რომ კრიზისულ ცენტრში საჩივრის ავტორთან მისი და მ.ჟ.-ს ერთობლივი შეხვედრის დროს, მათ მიიღეს ს. მ.-ისაგან ინფორმაცია მისი საოჯახო დავის შესახებ. თუმცა, მოწმემ აქვე განაცხადა, რომ ადვოკატ მ.ჟ.-ს ს. მ.-ისათვის იურიდიული მომსახურება არ გაუწევია.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2019 წლის 24 დეკემბერს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ.ჟ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ინტერესთა კონფლიქტისა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8, ეთიკის კოდექსი, მუხლი 6) და კონფიდენციალობის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1) ვალდებულების შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატისა და მოწმეთა პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

6.1.1 საჩივრის ავტორის ყოფილი მეუღლე - რ. ჯ. (საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარე) არასრულწლოვან შვილთან ერთად, 2019 წლის იანვრის თვიდან, წარმოადგენდა ცენტრის ბენეფიციარს, რომელიც სარგებლობდა კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგის მომსახურებით და ამავე ცენტრის იურისტის - ადვოკატ მ.ჟ.-ს - იურიდიული მომსახურებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა და მოწმე ი. რ.-ის ახსნა-განმარტებები.

6.1.2 მ.ჟ. არის ცენტრის ერთადერთი იურისტი და ამავდროულად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი საერთო სპეციალიზაციით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ მ.ჟ.-ს და მოწმე ი. რ.-ის ახსნა-განმარტებები;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიანი სია.

6.1.3 ადვოკატმა მ.ჟ.-მ რ. ჯ.-ს გაუწია იურიდიული მომსახურება, რაც ეხება ს. მ.-ის, როგორც საქმეში მოპასუხე მხარის წინააღმდეგ იურიდიული მოქმედებების განხორციელებას: 2015 წლის 15 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ გაუქმება, ახალი პირობების დადგენა, მოპასუხისთვის ბავშვის ნახვის ახალი გრაფიკის დადგენა, მოპასუხისთვის მშობლის უფლების შეზღუდვა და ალიმენტის დაკისრება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 02 მაისის რ. ჯ.-ს დასტური იურიდიული მომსახურებით სარგებლობის თაობაზე.

6.1.4 2019 წლის მარტის დასაწყისში საჩივრის ავტორმა, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე, მიმართა კრიზისულ ცენტრს, ოჯახურ თერაპიაში ჩართვისა და ფსიქოლოგიური მომსახურების მიღების მიზნით, სადაც ის შეხვდა ადვოკატ მ.ჟს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

6.1.5 კრიზისულ ცენტრში ვიზიტისას, ს. მ. გაეცნო ადვოკატ მ.ჟ.-ს, განუმარტა მას მისი ცენტრისთვის მიმართვის მიზეზი და საფუძველი, რის შემდგომაც ადვოკატმა მ.ჟ.-მ ის დაარეგისტრირა კრიზისული ცენტრის მომმართველთა ჟურნალში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

6.1.6 კრიზისულ ცენტრში მეორე ვიზიტისას საჩივრის ავტორი ადვოკატ ნონა ოტიაშვილთან ერთად შეხვდა ორგანიზაციის ხელმძღვანელს - ქ-ნ ი. რ.ს. და ცენტრის იურისტს - ადვოკატ მ.ჟ.-ს. აღნიშნული შეხვედრისას, ს. მ.-მ ისაუბრა მისი მიმდინარე საოჯახო დავის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, რომ „შვილთან პრობლემების მოგვარება სურდა“, ფიქრობდა ექსპერტიზის დანიშვნას, სჭირდებოდა საოჯახო თერაპიაში ჩართვა და ფსიქოლოგიური მომსახურება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

მოწმე - ი. რ.-ის ახსნა-განმარტება.

6.1.7 საჩივრის ავტორი ასევე ესაუბრა ცენტრის ფსიქოლოგს მისი საოჯახო დავის თაობაზე, რომლისგანაც მიიღო ფსიქოლოგიური მომსახურება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

მოწმე - ი. რ.-ის ახსნა-განმარტება.

6.1.8 ადვოკატმა მ.ჟ.-მ ს. მ.-სთან შეხვედრის შემდგომ, მისი მოწინააღმდეგე მხარის - ყოფილი მეუღლის რ. ჯ.-ს ინტერესები წარმოადგინა იმავე საოჯახო დავაში - ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი, საქმე N 2/36265.

7. **შემაჯამებელი დასკვნა**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ მ.ჟ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. **სამართლებრივი შეფასება:**

8.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ მ.ჟ.-ს მიერ დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2(ბ)).

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

8.2 ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას ადვოკატის მოქმედ კლიენტსა და მის პოტენციურ კლიენტს შორის. ამ შემთხვევაში, განმსაზღვრელი ფაქტორია ადვოკატისათვის პოტენციური კლიენტისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება იმავე ან დაკავშირებულ საქმეზე, რომელზეც ადვოკატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას მეორე მხარის სასარგებლოდ.

8.3 კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია, როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართ. ეს ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდება კლიენტის/პოტენციური კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კონფიდენციალობა არის ერთ-ერთი იმ

ვალდებულებათაგანი, რომელიც ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებამდე წარმოეშობა, ისევე როგორც ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება.

8.4 საქმესთან დაკავშირებით პოტენციური კლიენტისაგან ინფორმაციის მიღებამდე, ადვოკატმა უნდა გამოიკვლიოს შესაძლო კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე. რადგან ინფორმაციის მიღების შემდეგ, ადვოკატს წარმოეშობა კონფიდენციალობისა და კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება, მიუხედავად იმისა განახორციელებს თუ არა ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას პოტენციური კლიენტის სასარგებლოდ.

8.5 „ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის დადგენა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობა შეწყდეს პოტენციური კლიენტის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ადვოკატის მიერ სამართლებრივი რჩევის გაცემის ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდგომში „ეთიკის კომისია“, 2018 წლის 05 ნოემბრის #009/18 წერილობითი რეკომენდაცია).

8.6 მხარეთა და მოწმეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა მ.ჟ.-მ, როგორც კრიზისული ცენტრის იურისტმა, იურიდიული მომსახურების გაწევა დაიწყო 2019 წლის იანვრის თვეში ს. მ.-ის ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ მათ შორის არსებული საოჯახო დავის ფარგლებში. ამავე წლის მარტის თვეში, როდესაც ადვოკატი მ.ჟ კვლავ საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, ის შეხვდა ს. მ.-ს კრიზისულ ცენტრში. ამ შეხვედრის ფარგლებში, ადვოკატმა საჩივრის ავტორისგან მოისმინა ინფორმაცია იმავე საოჯახო საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავდა. ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის არგუმენტს, იმის თაობაზე, რომ მას ს. მ.-სთან შეხვედრის დროს არ ჰქონდა ინფორმაცია მასსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის არსებული სამოქალაქო დავის თაობაზე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი მ.ჟ ამ შეხვედრის მომენტისათვის უკვე წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ყოფილი მეუღლის ინტერესებს აღნიშნულ დავაში და არგუმენტი, რომ ადვოკატისათვის მოწინააღმდეგე მხარის ვინაობა ცნობილი არ იყო, ეთიკის კომისიისათვის სარწმუნო ვერ იქნება.

8.7 ეთიკის კომისია ასევე ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, ის წარმოადგენდა მხოლოდ კრიზისული ცენტრის იურისტს და როგორც ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა არ გააჩნდა ს. მ.-სთან შეხვედრის დროს, შესაბამისად, არ არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი. საადვოკატო საქმიანობა ვრცელდება იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან რეესტრში და რომლებიც შესაძლოა დასაქმებულნი იყვნენ რომელიმე ორგანიზაციაში.

შესაბამისად, კომპანიაში დასაქმებულ იურისტზე, იმ შემთხვევაში თუ ის არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები.

8.8 ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ მ.ჟზე ვრცელდებოდა როგორც კონფიდენციალობის, ასევე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულებები ს. მ.-ის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი მ.ჟ დასაქმებული იყო კრიზისულ ცენტრში და საჩივრის ავტორთან შეხვედრა მის სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა, მას უნდა გაეთვალისწინებინა ეთიკური სტანდარტები და ემოქმედა ამ სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად, რადგან ის ადვოკატის სტატუსის მატარებელია.

8.9 ადვოკატს საჩივრის ავტორის მოდავე მხარისგან - რ. ჯ.-სგან უკვე ჰქონდა მიღებული ინფორმაცია საოჯახო დავის ირგვლივ და შემდგომში მას უწევდა იურიდიულ კონსულტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე, როდესაც კრიზისულ ცენტრს მიმართა საჩივრის ავტორმა, მ.ჟ მასთან შეხვედრისას წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს, რის გამოც საჩივრის ავტორთან გასაუბრება და მით უფრო, მეორე ვიზიტისას მისგან მეუღლესთან და შვილთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია არ უნდა მიეღო. ამ ფაქტმა წარმოშვა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრა არ იყო დამოკიდებული იმ ფაქტზე, რომ ს. მ.-ს არ ჰქონდა კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის სტატუსი. ადვოკატ მ.ჟ.-ს ვალდებულებები საჩივრის ავტორთან, როგორც მისი კლიენტის დაპირისპირებულ მხარესთან შეხვედრის ეტაპიდანვე წარმოიშვა, რომელიც უნდა დაეცვა.

8.10 მ.ჟს პოზიცია იმის თაობაზე, რომ კრიზისულ ცენტრში პირველი შეხვედრისას ს. მ.-მ მისი ვინაობისა და ადვოკატის სტატუსის შესახებ არ იცოდა, არ ანთავისუფლება ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობისგან თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს.

8.11 სასამართლო სხდომაზე ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლად გამოსვლით ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის არიდების ვალდებულება და საფრთხე შეუქმნა საჩივრის ავტორისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას.

8.12 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის დადგენისთვის მიშვნელობა არ აქვს ადვოკატ მ.ჟსთვის ს. მ.-ისგან მიღებული ინფორმაცია, სასარგებლო იყო თუ არა ადვოკატის კლიენტისთვის (ს. მ.-ის მოწინააღმდეგე მხარისათვის), რადგან საჩივრის ავტორისგან საქმესთან დაკავშირებით მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ვრცელდებოდა.

8.13 კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ადვოკატისთვის საჩივრის ავტორის ვინაობა მასთან შეხვედრისას ცნობილი იყო, მისი კლიენტისთვის გაწეული იურიდიული მომსახურებიდან გამომდინარე, მასთან გასაუბრებამდე მნიშვნელოვანი იყო ინტერესთა კონფლიქტის საკითხის გამოკვლევა. ადვოკატი უნდა დარწმუნებუიყო, რომ ს. მ.-სთან არ ჰქონდა კონფლიქტი და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო მისგან საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული

ქმედებით, ადვოკატი თავიდან აირიდებდა მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებას და არ შექმნიდა კონფლიქტს.

8.14 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება, რადგან საადვოკატო მომსახურებას ახორციელებდა ერთი მხარის სასარგებლოდ, რომლის მოწინააღმდეგე მხარისგანაც (პოტენციური კლიენტისაგან) მიიღო ამავე საქმესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

8.15 განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ დგინდება ადვოკატ მ.ჟ.-ს მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

8.16 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი ხდება ნებისმიერი წყაროდან კლიენტის/პოტენციური კლიენტის საქმესთან დაკავშირებით და რომელიც არ არის საჯარო. განსხვავებით კონფიდენციალური ინფორმაციისაგან, ხელშეუხებლად ითვლება მხოლოდ ის ინფორმაცია (პრივილეგირებული ინფორმაცია), რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი ხდება უშუალოდ კლიენტისაგან და/ან იურიდიული რჩევის მიღების მსურველისაგან, რომელმაც დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით მიმართა ადვოკატს.

8.17 კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა, რომელიც ადვოკატს გააჩნია. კონფიდენციალობის დაცვით ადვოკატი არა მხოლოდ კლიენტის ნდობას მოიპოვებს, არამედ, ასევე განამტკიცებს საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობას.

8.18 იმისათვის, რომ დადგინდეს კონფიდენციალობის დარღვევა და ამისათვის ადვოკატს დაეკისროს დისციპინური პასუხისმგებლობა, უმთავრესად უნდა განისაზღვროს: (1) იყო თუ არა ინფორმაცია კონფიდენციალური; (2) ადვოკატის მხრიდან მოხდა თუ არა ამ ინფორმაციის გაამჟღავნება (აქტიური ან პასიური მოქმედებით); და (3) არსებობდა თუ არა გამონაკლისები, რომელიც გამორიცხავდა პასუხისმგებლობას კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევისათვის.

8.19 ეთიკის კომისიის შეფასებით, საოჯახო დავის შესახებ, კერძოდ, ბავშვთან დაკავშირებით ექსპერტიზის დანიშვნისა და ბავშვთან მამის მხრიდან ურთიერთობის აღდგენის გეგმის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პოტენციური კლიენტისაგან, ჩაითვლება კონფიენციალურ ინფორმაციად. შესაბამისად, ადვოკატ მ.ჟს წარმოეშვა ვალდებულება პოტენციური კლიენტის - ს. მ.-ის მიმართ კონფიდენციალურად დაეცვა ეს ინფორმაცია. თუმცა ადვოკატ მ.ჟ-სათვის ამ ნაწილში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ ადვოკატმა გაამჟღავნა ეს ინფორმაცია. აღნიშნული ფაქტის მტკიცების ტვირთი კი აკისრია საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორმა, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით უნდა დაასაბუთოს, რომ ადვოკატმა მ.ჟმ გაამჟღავნა კონფიდენციალური ინფორმაცია. ადვოკატ მ.ჟს მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მან თავად განმარტა, რომ არ იცის კონკრეტულად რომელი ინფორმაცია გაამჟღავნა ადვოკატმა. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, არ დასტურდება მ.ჟს მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რის გამოც ამ ნაწილში ადვოკატს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8.20 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ.ჟ-ს, მის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის - ინტერეთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულების დარღვევისათვის, უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

8.21 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.22 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.23 გამოყენებული სახდელის პროპორციულობაზე უთითებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (Rec(2000)21) ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ (რეკომენდაცია VI.4), რომლის მიხედვით, ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის სანქციების დადგენისას, გათვალისწინებული

უნდა იქნას პროპორციულობის პრინციპი. ეთიკის კომისია სრულად იზიარებს აღნიშნული რეკომენდაციით განმტკიცებული პროპორციულობის მნიშვნელობას.პროპორციულობის განსაზღვირსათვის, კი ეთიკის კომისია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სიმძიმეს, ადვოკატის მიერ პროფესიისადმი მიყენებულ ზიანს, კლიენტისთვის მიყენებულ ზიანს, სხვა საქმეებზე ადვოკატისათვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმას, ზომას, კერძო სარეკომენდაციო ბარათის განსაზღვრის შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან ამ ბარათით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებას, ადვოკატის პიროვნებას, ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის აღქმას და სხვა შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებებს, „რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

8.24 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.25 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

8.26 ეთიკის კომისია ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ მ.ჟ-ს არ აქვს გათვითცნობიერებული მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, ის ვერ ხედავს კონფლიქტს მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისაგან, ამავე საქმეზე, მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციით, რისი მართებული აღქმაც მომავალში მოახდენდა მსგავსი გადაცდომების პრევენციას. ამასთან, ეთიკის კომისია ასევე ითვალისწინებს, ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებულ ზიანს. შედეგად, კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ადვოკატისათვის სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდებისას, ეთიკის კომისია ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ მ.ჟს, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, ვერ დადასტურდა მისი მხრიდან კონფიდენციალობის

ვალდებულების დარღვევა, ვერ დადასტურდა პოტენციური კლიენტისათვის მიყენებული ზიანი. შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ მ.ჟსთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, მოცემული დისციპლინური საქმის ფარგლებში, მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელია.

8.27 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 29.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N159/18; 28.01.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N024/19; 02.01.2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N058/12), რომლის მიხედვითაც, მსგავსად აღნიშნული საქმისა დადგინდა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევა და დისციპლინური სახდელის სახით განისაზღვრა - გაფრთხილება. შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ მ.ჟ-ს მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 7.1, 8.1, 32.1, 34.1(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1, 6.2(ბ), მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N062/19 დადგინდეს ადვოკატ მ.ჟ-ს /სიითი№5196/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ მ.ჟს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/